მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №17

ქ. მარტვილი 30 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 10:00 სთ-ზე დამთავრდა 12:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარეს: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, დათო ხელაია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია და მაგდა შირავა.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგი პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 31. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2023 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის განკარგულება №42 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/
2. 2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების

მოწონებისა და ინიცირების შესახებ.
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ნუგზარ ცანავას მოხსენება, 2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ.

მომხსენებელმა ისაუბრა აღნიშნული პროექტის ირგვლივ და საკრებულოს წევრებს გააცნო 2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები პრიორიტეტების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები, მომხსენებელმა საკრებულოს წევრების დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 31. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,2024 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის განკარგულება №43 სხდომის ოქმს თან ერთვის./

სხდომის ბოლოს სიტყვა ითხოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაიამ, რისი

უფლებაც მას მიეცა.

კახაბერ ჯგერენაიამ საკრებულოს წევრებს გააცნო, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაალ გოროზიას მიმართ და ასევე მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაალ გოროზიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასა და მის ნაცვლად სიით მომდევნო კანდიდატით, ზაზა ფრანგიშვილით ჩანაცვლების თაობაზე, და აღნიშნა, რომ აღნიშნული აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტს.

აღნიშნული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ცნობად.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა